ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

40 (10078) •13 oqtomberi • 2014 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

იქნებიან თუ არა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების თანამშრომლები განათლების პროფკავშირების წევრები?

ნუგზარ ასათიანი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირებს რთული პერიოდი ჰქონდათ ნაციონალური ხელისუფლების დროს, თუმცა მათ შეძლეს დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირებში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია ოზურგეთის პროფკავშირულ ორგანიზაციას.

როგორც სპთპ-ს ზოგად დებულებაში ვკითხულობთ, „სპთპ თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, დამსაქმებელთა, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი გაერთიანებებებისა თუ რელიგიური მოძრაობისაგან, არ არის მათ წინაშე ვალდებული და შესაბამისად, არ ექვემდებარება მათ კონტროლს.“

სპთპ იცავს:

–„მათი ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხო პირობების, სოციალური უზრუნველყოფის, სრულფასოვანი დასვენების, ჯანმრთელობის აღდგენისა და ფასიანი შვებულების სარგებლობის უფლებას.

–საზოგადოებაში განათლების პრიორიტეტულობის დამკვიდრების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, სკოლების, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების დამოკიდებულებას; მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ზრუნავს მათთვის საჭირო სახსრების გამოყოფის უზრუნველყოფაზე.“ (საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავუფალი პროფკავშირის წესდება, რეგლამენტი, დებულებები, თბილისი, 2010 წ.)

ქ. ოზურგეთის თვითმმართველ ქალაქად გამოყოფის შემდეგ ა (ა) იპ ოზურგეთის ბაღების გაერთიანება ორად გაიყო, ცალკე ქ. ოზურგეთის და ცალკე თემების მუნიციპალიტეტის გაერთიანებებად.

ბოლო დღეებში გავრცელდა ხმები, რომ თემების მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი ავთანდილ მექვაბიშვილი ა (ა)იპ-ის თანამშრომლებს ზღუდაავს კვლავ გააგრძელონ პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წევრობა და სახელმწიფო მუშაკთა პროფკავშირის წევრობას ურჩევს და ა.შ.

ამ თემის დასაზუსტებლად ორთავე მხარეს ვესაუბრეთ>

როზა გოგუაძე, *პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე:* - 1992 წელს ოზურგეთის თეატრის ცივ დარბაზში მასწავლებლის დღე აღვნიშნეთ. ღონისძიებაში

სოფ. ჯუმათის გამგებელი ავთანდილ მექვაბიშვილიც მონაწილეობდა. იმ წლებში ჩვენმა პროფკავშირმა არაერთი ღონისძიების გამართა.

სკოლამდელი დაწესებულებები ოდითგან იყო პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წევრი. ანასეულის ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტიც ჩვენი წევრი იყო. გასულ და მიმდინარე წელს, როცა ქალაქად, ისე სოფლად არაერთი ბაღი კაპიტალურად გარემონტდა, ვაკიჯვარში, მერიაში, ჯუმათში ახალი ბაღები გაიხსნა. თავად იყავით მოწმე არაერთ საბავშვო ბაღს გადავეცით მუსიკალური ცენტრები, სხვა აუცილებელი ნივთები.

ეს გაუგებრობა იმან გამოიწვია, რომ ბაღების გაერთიანების ყოფილი უფროსი მაკა ჭყონია ავთანდილ მექვაბიშვილმა ჩაანაცვლა და დოკუმენტში შესაბამისი ცვლილება უნდა შესულიყო.

-ქალბატონო როზა, ბაღების გაერთიანება ქალაქშიც შეიქმნა..

–ჩვენ ახლა კი არ ვქმნით პროფკავშირულ ორგანიზაციებს ბაღების გაერთიანებაში. მხოლოდ ჩანაწერში უნდა მომხდარიყო ჩასწორება. ქალაქის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა ეკა ნინიძემ ჩვეულ რეჟიმში გააგრძელა ჩვენს პროფკავშირთან ურთიერთობა.

-რა პრობლემებია თემების მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების შემთხვევაში?

–ავთანდილი მიიჩნევს, რომ თემების ა(ა)იპ-ის თანამშრომლები, რომლებიც დღემდე ჩვენი პროფკავშირული ორგანიზაციის წევრებია, სახელმწიფო მუშაკთა პროფკავშირში უნდა გაწევრიანდნენ. ეს არაა სწორი მიდგომა და ვფიქრობ ეს თემა პირადულ დაპირისპირებაში უნდა ვეძიოთ. თუ იმას ამბობს, მე ბაღების პედაგოგ-აღმზრდელები მივიზიდე განათლებისა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში, ეს ჩვენი მოვალეობაა.

–რა გამოსავალს ხედავთ?

–მე ამ თემაზე ვესაუბრე მუნიციპალიტეტის გამგებელს მერაბ ჭანუყვაძეს...

გაზეთი „ალიონი“ **ავთანდილ მექვაბიშვილს** დაუკავშირდა:

–დავიჯერო ჟურნალისტებისათვის უფრო საინტერესო თემა არ არის, ვიდრე პროფკავშირია? უამრავი პრობლემა დაგვხვდა ბაღების გაერთიანებაში. ჩვენ არ ვახდენთ ადმინისტრირებას, ვის უნდა ამ პროფკავშირში გაწევრიანება და ვის არა. მე არავისთან არ ვაფორმებ ხელშეკრულებას, მაგრამ რომელი თანამშრომელიც განცხადებით მომმართავს, განათლების და მეცნიერების პროფკავშირში გადამირიცხე საწევრო შენატანი, გადავურიცხავთ.

– საუბრობენ, თქვენ სახელმწიფო მუშაკთა პროფკავშირებში ურჩევთ გაწევრიანებას?

–პირველ რიგში, თუ რომელ პროფკავშირულ ორგანიზაციას აირჩევენ, ეს მათი გადასაწყვეტია. ისე, ჩვენი ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერაა შექმნილი და განათლების სამინისტროსთან არაფერი გვაკავშირებს.

alion.ge

17 ოქტომბერს, სოფ. ლიხაურში გაიმართება „ექვთიმეობა“

როგორ გადაარჩინა ქართულმა ინტელიგენციამ 1905 წელს გურია განადგურებისაგან

გთავაზობთ ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებას მცირე შემოკლებით.

„1905 წლის მანიფესტის გამოცხადების წინ, როგორც ცნობილია, გურიის საქმე დიდათ გართულდა. მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ალიხანოვის ჯარი გაგზავნა გურიის დასასჯელად. ეგ რომ ჩვენ შევიტყვეთ, თავზარი დაგვეცა. რადგან გურიას განადგურება ელოდა. შეიკრიბა მთელი ინტელიგენცია, ყველა პარტიების წარმომადგენლები და გადაწყვიტეს დეპუტაცია გაეგზავნათ ვორონცოვთან და ეთხოვათ მისთვის, რომ დამსჯელი რაზმი უკან დაებრუნებინა. დეპუტატები ამოირჩიეს ილიას მეთაურობით, რომელსაც უნდა ვორონცოვი დაერწმუნებია, რომ გურია დამშვიდდება და აღარავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევს მთავ-რობას. წავიდა ილია დეპუტაციით. დიდი მო-ლაპარაკების და თხოვნის შემდეგ დაითა-ნხმეს ვორონცოვი. მან ალიხანოვი სამტრედიიდან დააბრუნა უკან. მაგრამ ამის შემდეგ არ გასულა ერთი თვე, რომ გურული რევოლუციონერები ნასაკირალზე თავს დაესხნენ ერთი როტა რუსის ჯარს და სანახევროდ ამოწყვიტეს. მთავრობამ ახლა უკვე გაძლიერებული ჯარით გაგზავნა ალიხანოვი, რომელსაც გრიაზნოვის კარნახით ასეთი ინსტრუქცია მისცეს: სადგურ ნატანებიდან დაწყებული შვიდ ვერსზე - ყოველმხრივ ოზურგეთამდის და შემდეგ ოზურგეთის ზემოთაც მთელი სოფლები მოესპოთ. სახლები გადაებ-უგათ და მცხოვრებნი დეპატიმრებინათ.

ქართველი ინტელიგენტები ისევ შევიკრიბეთ დავით სარაჯიშვილის ბინაზე, ილიაც მოვიდა, შეიქმნა ბაასი, თუ რა ზომა მიგვეღო, როგორ მოვქცეულიყავით, რომ გურია დაღუპვას გადაგვერჩინა. სხვა საშუალება არაფერი იყო, ხელმეორედ უნდა გაგვეგზავნა დეპუტაცია ვორონცოვთან და გვეთხოვა დაბრუნება ალიხანოვის დამსჯელი რაზმისა. დაიწყეს დეპუტატების დასახელება, პირველად დაასახელეს ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ილიამ განაცხადა: „ჩემი წასვლა ვორონცოვთან არ ივარგებს, რადგან ამ ცოტა ხნის წინ ვარწმუნებდით, რომ გურულები მთავრობას არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევენო.“ დეპუტაციაში აგვირჩიეს: ქალაქის თავი ალექსანდრე ჩერქეზიშვილი, დავით სარაჯიშვილი, ვლადიმერ მიქელაძე, ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი, სტეფანე ჭრელ-აშვილი, მე და კიდევ რამდენიმე სხვა. დეპუტაცია უნდა წარედგინა ნამესტნიკისათვის საშიკო ორბელიანს, რომელიც მაშინ თბი-ლისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძ-ღოლი იყო. მიგვიღო ვორონცოვმა თავის კაბინეტში... ჩერქეზიშვილმა მოახსენა ჩვენი თხოვნა. დიდხანს ელაპარაკნენ ვლადიმერ მიქელაძე და დეპუტაციის სხვა წევრებიც. ვორონცოვი დამშვიდებულად და დინჯად იჯდა ჩვენს წინ და ყურადღებით უსმენდა ყველას. ბოლოს მან პასუხად გვითხრა: „ თქვენ ამბობთ, რომ გურულები არ არიან რუსეთის მთავრობის მინააღმდეგნი. მაგრამ ეს საიდან ჩანს? ჯერ ერთი, სამი წელიწადია სახელმწიფო გადასახადი არ შემოუტანიათ. მაზრის უფროსი გააძევეს, რუსის პოლიცია მოხსნეს, სამომრიგებლო სასამართლო გააუქმეს. საკუთარი სასამართლო გაიჩინეს... მე ახლა ჯარის დაბრუნება უკან აღარ შემიძლია...

ამ პასუხის შემდეგ ნებართვის გამოუთხოვნელად დავიწყე ლაპარაკი: „ბრძენი მმართველის მოვალეობაა მშვიდობიანი გზით გადაჭრას ყველა მნიშვნელოვანი საკითხი - სამხედრო რეპრესიების დაუხმარებლად, როცა ეს შესაძლებელია. მე თვითონ გურული ვარ, კარგად ვიცნობ გურიას და ღრმადა ვარ დარწმუნებული, მათ რომ სცოდნოდათ მანიფესტის ამბავი, რომლის შესახებაც ჩვენ სამწუხაროდ გვიან შევიტყვეთ, ეს არ მოხდებოდა. ვინაიდან მანიფესტი იძლევა ყველაფერს, ან თითქმის ყველაფერს, რასაც ისინი მოითხოვდნენ... დაბეჯითებით გთხოვთ, გაგზავნოთ თქვენს მიერ ნდობით აღჭურვილი პირი ჩვენს წარმომადგენლებთან ერთად, რომლებსც ღრმად მწამს შეუძლიათ ამ საქმის მშვიდობიანად მოგვარება.“

ჩემ სიტყვაზე ვორონცოვი ცოტა ხანს გაჩუმდა, შემდეგ წამოდგა და გამოგვიცხადა: „ მე ვიფიქრებ და პასუხს გაცნობებთ.“

არ გასულა ერთი საათი და გვაცნობეს, რომ ვორონცოვი თანახმაა გურიაში გაგზავნოს დეპუტაცია.

ილიას დიდად გაუკვირდა და გვითხრა: „ეს დიდი მიღწევაა, მე არ მოველოდი ამასო.“

(ბონდო კობაძის წიგნიდან „ექვთიმე თაყაიშვილი 150,“ გვ. 68-69).

7 დღის ამინდის პროგნოზი

13 ოქტომბერი
ორშაბათი
მზე, ღრუბელი
+14+22

14 ოქტომბერი
სამშაბათი
მზე, ღრუბელი
+14+23

15 ოქტომბერი
ოთხშაბათი
მზე, ღრუბელი
+14+22

16 ოქტომბერი
ხუთშაბათი
ჭექა-ქუხილი
+14+20

17 ოქტომბერი
პარასკევი
ღრუბელი
+13+22

18 ოქტომბერი
შაბათი
ძლიერი წვიმა
+14+20

19 ოქტომბერი
კვირა
წვიმა
+11+18

როგორ აფასებს ალეკო ელისაშვილი დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას და რა მაგალითის მიცემას ფიქრობს კოლეგებისთვის

როგორ აფასებს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, რა სტერეოტიპისა და დამოკიდებულების შეცვლას ფიქრობს და რატომ თქვა თბილისის მერობის კანდიდატობაზე უარი თბილისის საპრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა, ამ და სხვა საკითხებზე გაზეთ „ალიონის“ მკითხველებს ვთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

— ბატონო ალეკო, ამბობთ, რომ არჩევნებში თქვენს გამარჯვებას წინ უსწრებდა თქვენი გულწრფელი დამოკიდებულება თქვენივე გადაწყვეტილების მიმართ და ასევე დიდი საარჩევნო კამპანია. ფიქრობთ, თუ არა, რომ თქვენს გამარჯვებაში უდიდესი როლი თქვენს ცნობადობას მიუძღვის, ანუ იყავით ცნობილი ტელეჟურნალისტი.

— ბევრი მიფიქრია ამაზე, ჩემს ოპონენტებს დიდი რესურსი გააჩნდათ კამპანიის საწარმოებლად, მე არ მქონდა ფული, მქონდა ცნობადობა, რაც ჩემი ერთ-ერთი კაპიტალი იყო.

— რატომ გადაწყვიტეთ ადგილმონაცვლეობა ჟურნალისტობიდან პოლიტიკაში?

— ჩავთვალე, რომ 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ პოლიტიკურ ჟურნალისტიკაში ჩემი ადგილი აღარ იყო, რადგან ვფიქრობ, დღეს ჟურნალისტი მეტად თავისუფალია, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს. ახლა მინდა შეიცვალოს, დამიკიდებულება პოლიტიკის მიმართ - პოლიტიკა ბინძური საქმეა და საზოგადოებას დავანახვოთ, რომ ამისი შეცვლა შესაძლებელია. შევქმნა თანამედროვე პოლიტიკოსის სახე. ანუ, დეპუტატმა და მაღალჩინოსანმა თავი არ იგრძნოს ფუფუნებასა და პრივილეგირებულ მდგომარეობაში. გააცნობიეროს, რომ ის ჩვეულებრივი მოქალაქეა და სკამზე სწორედ ჩვეულებრივ მოქალაქეთა მხარდაჭერით მოვიდა. არ იაროს ძვირადღირებული სახელმწიფო ავტომანქანებით. ასევე ვიბრძოლო იმისთვის, რომ პოლიტიკა გახდეს საქმიანი და მისგან გავიდეს სიძულვილი, ანუ, შეიცვალოს დამოკიდებულება, თუ ოპოზიციონერი ხარ, არანაირ პროექტს, მათ შორის კარგს, მხარი არ უნდა დაუჭირო და იბრძოლო მისი ჩავარდნისათვის.

— იყო რისკი ვერ გამხდარიყავით დამოუკიდებელი დეპუტატი, გქონდათ შემოთავაზებები პარტიებიდან?

—რა თქმა უნდა მქონდა, მათ შორის ვყოფილიყავი ქართული ოცნების მაჟორიტარი, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან არ მაქვს პარტიაში ყოფნის სურვილი.

— უფრო დიდი შემოთავაზებები გქონდათ?

— მქონდა, ოღონდ ხალხისგან, ვყოფილიყავი მერობის კანდიდატი, გადავიდოდი მეორე ტურში და მეტი შანსიც მექნებოდა. თუმცა ამას მე არც ჩემს თავს ვაკადრებდი და არც თბილისს, რადგან ვთვლი, რომ ამისთვის ჯერ მზად არ ვარ, არ მაქვს იმდენი ცოდნა და გამოცდილება, რაც მერს სჭირდება.

— შეიძლება ამაზე იფიქროთ მომავლისთვის?

— რატომაც არა, თუ ჩავთვლი, რომ ამისთვის მზად ვიქნები.

— როგორ ფიქრობთ თქვენი პროექტების გატანას, როცა აბსოლუტურ უმცირესობაში ხართ.

— არც მასეა საქმე. რამდენიმე პროექტი ჩემი ინიცირებით, ან მხარდაჭერით გავიდა საკრებულოში. ერთ-ერთი იყო ხმაურის რეგულირება საზოგადოებრივ სივრცეში, ასევე რესპუბლიკელებთან ერთად გატანილი პროექტი, პრემიების გაუქმების შესახებ, რამაც ბიუჯეტში 800 000 ლარი დაზოგა. ვმუშაობთ ძველი თბილისის ისტორიული მენეჯმენტის გეგმასა და საკრებულოს კუთვნილებაში არსებული ავტომანქანების მიზნობრივი გამოყენების თემაზე. მანქანები არ უნდა ემსახურებოდეთ მათ, რომელთაც კაბინეტური სახის მუშაობა სჭირდებათ. ამ პროექტს სახელობით კენჭისყრაზე დავაყენებთ და გატანის შემთხვევაში ბენზინისთვის გამოყოფილ 200 000 ლარს დავზოგავთ. როცა ვთვლი, რომ პროექტი კარგია, არ აქვს მნიშვნელობა, ვისგან იქნება წარმოდგენილი, მას ვუჭერ მხარს. მათ შორის უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ რამდენიმე პროექტს აქტიურად დავუჭირე მხარი. ჩემი დამოკიდებულება საქმისადმი არა ვინმეს ინტერესებიდან, არამედ საქმის სისწორიდან გამომდინარეობს.

— რა მოგწონთ, და რა არ მოგწონთ დღევანდელ სახელისუფლებო პოლიტიკაში.

— მომწონს ის, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, სხვა შემთხვევაში არანაირი შანსი არ მექნებოდა არც მე და არც სხვებს გამარჯვებისა, მომწონს ის, რომ სასამართლო გაადამიანურდა, და ბიზნესი პოლიტიკისგან გათავისუფლდა, ყოველ შემთხვევაში დღეს ასე ჩანს.

არ მომწონს ის, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან ადრე წავიდა. მეც და საზოგადოების უმრავლესობამ სწორედ მას დავუჭირეთ მხარი. მართვის სადავეები ხელიდან რომ არ გაეშვა, ახლა ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა.

არ მომწონს საკადრო პოლიტიკა. ახალგაზრდები მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არ უნდა ინიშნებოდნენ. მათ ამისთვის შესაბამისი გამოცდილება სჭირდებათ, რაც დაბალი საფეხურებიდან იწყება. ისინი ასაკის გამო არ შეიძლება სკამის ხიბლში არ ჩავარდნენ და ვარდებიან კიდეც. ეს დანაშაულია და დიდ პრობლემებს ქმნის.

არ მომწონს პრიორიტეტად ე.წ. პრესტიჟული უბნების განვითარების დასახვა, მაშინ, როცა სხვა უბნებში უფრო მძიმე მდგომარეობაა.

არ მომწონს ძველი მემკვიდრეობიდან სოციალურ სფეროში არსებული ერთჯერადი ხმაურიანი დახმარებები. რასაც ადამიანები მიჩვეულნი არიან. ეს პრობლემიდან გაქცევაა და მდგომარეობას არ აუმჯობესებს. დახმარებების სხვა ფორმები უნდა არსებობდეს. თუნდაც მუნიციპალური აფთიაქები, მშენებლობებში სოციალური პაკეტის გათვალისწინება და ა.შ. მაგრამ ყოველივე ეს არ უნდა გახდეს კორუფციის წყარო და ყველაფერი სამართლიანად უნდა გაითვალოს.

ჩვენი ყველაზე დიდი მტერი უცხოეთი კი არა, ჩვენი სიღარიბეა, ყველაზე დიდი პრობლემა კი ის, რომ არ გვაქვს გრძელვადიანი სწორი ხედვა მთავრობა ცოტა უნდა მიდგეს, მოდგეს.

— თქვენ შეწყალების კომისიაში იყავით, გქონდათ, ან გაქვთ თუ არა წინააღმდეგობა საკუთარ გადაწყვეტილებებთან.

— ძალიან მძიმე იყო თითოეული საქმის შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება. რადგან წინა ხელისუფლებას სამი სიტყვით შეკერილი საქმეები ჰქონდა და ძნელი გასარჩევი იყო მართლა დამნაშავის შეწყალება გვიწევდა თუ უდანაშაულო ადამიანისა. არ შეიძლება ადამიანს არ მისცე შანსი.

— თვლით თუ არა, რომ ყოფილ დამნაშავეთა და პრობაციონერთა რესოციალიზაციაზე ბევრს საუბრობენ, რეალურად კი ნაკლები კეთდება და მათი მთავარი პრობლემა დასაქმებაა?

— რა თქმა უნდა. ამაზე არასამთავრობოებიც მუშაობენ, იუსტიციის სამინისტროსაც აქვს პროექტი, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

— რას ფიქრობთ დღეს გახმაურებულ კვოტირების თემაზე - ქალები პოლიტიკაში მეტად და აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი.

— ძლიერ, აქტიურ ქალს მივესალმები პოლიტიკაში. თუ ქალს ამისი სურვილი აქვს, არ მგონია, რომ ქალს ამაში ვინმე ხელს უშლიდეს. ხელოვნური კვოტირების თემას არ ვეთანხმები, რადგან ზოგიერთი ქალის ყოფნას საკრებულოში, რომ არ იყოს, უკეთესია.

— თქვენ სუსტ ქალებზე ამახვილებთ

მიმართავს თუ არა მიხეილ გოგოტიშვილი სასამართლოს

გაზეთი „ალიონი“

უნდა აღინიშნოს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა უფრო ცხარე იყო, ვიდრე თავად საკრებულოს სხდომა, რადგანაც საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ ინიციატივას, საკრებულოს ხელმძღვანელებს, კომისიისა და ფრაქციების თავმჯდომარეებს არ მიეღოთ ხელფასს გარდა დამატებით სადეპუტატო უფლებამოვალეობისათვის გამოყოფილი ხარჯების თანხა—500 ლარი, ერთგვარი უკმაყოფილება მოჰყვა თავად ფრაქციის შიგნით, მაგრამ საკრებულოს სხდომაზე ეს აღარ იგრძნობოდა.

—ჩვენ არჩევნებისას ხალხს შევპირდით, რომ წინა ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ჩვენს თავს არ მივცემდით ფუფუნების საშუალებას და ქამრებს შემოვიჭერდით—განაცხადა ბიუროს სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **დიმიტრი კვერღელიძემ.**

როგორც ბიუროს სხდომაზე, ისე საკრებულოზეც ამ საკითხის წინააღმდეგი ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **მიხეილ გოგოტიშვილი** გამოვიდა.

—მე მივესალმები, თუკი თქვენ უარს აცხადებთ სადეპუტატო მოვალეობის შესასრულებლად კუთვნილი ანაზღაურების მიღებაზე. თქვენ ხელფასის მიღებაზეც შეგიძლიათ უარი განაცხადოთ. მაგრამ აქ არის დეპუტატები, სხვა სამსახურებში მუშაობენ და აქაც მიიღებენ ანაზღაურებას. თქვენ მე ნუ შემზღუდავთ მივიღო ის, რაც კანონითაა გათვალისწინებული. მე პარტიული სიით ვარ არჩეული და მაჟორიტარებისაგან განსხვავებით მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში მომიწევს მისვლა. თუ არ გაითვალისწინებთ ჩემს მოსაზრებას, მომიწევს სასამართლოში მისვლა.

საკრებულოს დებულებაში მე-8 მუხლის ამოღებას ხმა არ მისცეს მიხეილ გოგოტიშვილმა, დავით მჟავანაძემ, ნიკა დობორჯგინიძემ, ლელა ნაცვალაძემ, მერაბ ბერიძემ.

ოზურგეთის №2 საბავშვო ბაღი გაიხსნა

ქეთი ბოლქვაძე, სალომე ცომაია

1 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა ქ. ოზურგეთის №2 საბავშვო ბაღი. გახსნას ესწრებოდნენ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ალექსანდრე ყველაშვილი.

როგორც ბაღის მენეჯერმა მედეა ტრაპაიძემ გვითხრა, ბაღი იწყება დილის 9 საათზე და მთავრდება საღამოს 6 საათზე. ბაღში არის 130 ბავშვი. ჩვენი იქ ყოფნის დღეს იმყოფება 90. ბაღის აღსაზრდელები სამ ასაკობრივ ჯგუფადაა დაყოფილი და იანვრიდან კიდევ ერთი ჯგუფის დამატებას აპირებენ. ბავშვებს აქვთ სამჯერადი კვება. 2-3 წლამდე ბავშვებს შუადღით აძინებენ. ბავშვებს აქვთ ბევრი სხვადასხვა გასართობი ნივთი, განსაკუთრებით ხატვა აინტერესებთ.

პედაგოგებმა ასევე გვითხრეს, რომ ბაღის წინ, ნაძვის ხეზე ველურ ფუტკრებს (ე.წ. „ბაზებს“) აქვთ ბუდე და საშიშროებას წარმოადგენენ ბავშვებისათვის. ისინი შესაბამის სამსახურებს დახმარებას სთხოვენ.

პროფესიული სახელდების დღეს გილოცავთ!

პრესსამსახური **ნინო კუკულაძე.**

დაჯილდოებულთა შორის არიან: **ნათელა სურგულაძე (№1 საჯარო სკოლა); ლიანა იმედაშვილი, ლამზირა გიორგაძე, რუსუდან ბაქანიძე, ზაირა გოგიბერიძე (№2 საჯარო სკოლა); ეთერ აბაშიძე (№5 საჯარო სკოლა); დარეჯან შევარდნაძე (ასკანის სკოლა); ნანული დარჩია (ბაილეთის სკოლა); ეთერ გარაყანიძე (მელექედურის სკოლა); ლილი ჯაფარიძე (დვაბზუს სკოლა); ვასილ ქინქლაძე, აზა ქინქლაძე (ზემო ნატანების სკოლა); ზაირა მარგალიტაძე, ნოდარ დონაძე (თხინვალის სკოლა), მარგალიტა თოიძე, მერი კეჭაყმაძე (კვირიკეთის სკოლა); ასლან ჭაღალიძე, ანა გოგიბერიძე, ნანი ჩანჩიბაძე (ლაითურის სკოლა); ლონგინოზ ურუშაძე (ლიხაურის სკოლა); იზოლდა ჩხაიძე, ლამზირი ჯაფარიძე (მაკვანეთის სკოლა); ლელი მამულაიშვილი, ციური ბაბილოძე (მერიის სკოლა); ლილი, მერი ორაგველიძე, ავთანდილ ბერიძე (ნასაკირალის სკოლა); ლამარა დოლიძე-თოიძე, ნელი ცერცვაძე (ქვ. ნატანების სკოლა); ლალა ვასაძე (ხრიალეთის სკოლა); ნელი ოკუჯავა (ჯუმათის სკოლა).**

—58 წელია სკოლაში ვმუშაობ. ჩემმა აღზრდილმა 300-ზე მეტმა მოსწავლემ გაიმარჯვა სხვადასხვა შემოქმედებით ტურებსა და კონკურსებში. შვილი დამეღუპა, მაგრამ ჩემს მოსწავლეებს ვერ ვუღალატებ —თქვა იზოლდა ჩხაიძემ.

—63 წელია სკოლაში ვმუშაობ. სოფ. ჭანიეთიდან დავდივარ ყოველდღიურად მერიის სკოლაში..

—მომავალი წლის თებერვალში 80 წლის ვიქნები. როცა სოფ. ღორჯომში ვსწავლობდი ცხემლისხიდელი აკაკი მემარნიშვილი იყო ჩვენი სკოლის დირექტორი, მეუღლე ეთერი ქიმიას გვასწავლიდა. ბავშვობაში ჩამომიყალიბდა მათი მეშვეობით გურულებისადმი სიყვარული და 45 წელია სკოლაში ვმუშაობ.

როგორც თხინვალის სკოლის პედაგოგმა ნოდარ დონაძემ გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, მთავარი არა საჩუქარი, არამედ ის ყურადღებაა, რაც პედაგოგებმა თემებისა და ქალაქის ხელმძღვანელებიდან იგრძნეს.

ღონისძიების დასრულების შემდეგ ლელა იმედაშვილი და როზა გოგუაძე სოფ. ჭანიეთში ამაგდარ პედაგოგს სვეტლანა საჯაიას ესტუმრნენ.

ოზურგეთის კოლორიტები

კაცი მართალი და თავისი ქალაქის მოსიყვარულე

ნუგზარ ასათიანი

–კაცი მართალი და მოსიყვარულე, უზომოდ მოყვარული თავისი ქალაქის, ოჯახის, ახლობლების, მეგობრების. საოცრად კეთილი, გულმართალი, თავისი საქმის უბადლო მცოდნე– ასე ახასიათებენ ახლობლები და მეგობრები კოლორიტ ოზურგეთელს, ოზურგეთის „მერცხალის“ 60-იანელთა თაობის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს, საუკეთესო მწვრთნელს ბიძინა ტაბიძეს.

ყველას არ ხელეწიფება ადამიანის სიმების აჟღერება, არ ჰქონდა უნარი „კაცად ყოფნის“ ღირსი გამხდარიყო! მაგრამ ბიძინა ტაბიძეს ჰქონდა ეს უნარი. მისი სული თავისუფალი იყო შურისა და ბოღმისაგან. შეეძლო ჩუმად, უთქმელად ეტარებინა სხვისი დარდი, წუხილი; გაეცა ისე, რომ „მარცხენას“ არ სცოდნოდა, რას იქმოდა „მარჯვენა.“ ეს იყო ნიჭი, ყოველდღიურ ამაოებაზე მაღლა დგომის, სულიერ ღირსებებზე ფიქრის. ასეთი კაცი იყო ბიძინა ტაბიძე.



ბ. ტაბიძე, ა. ვახრამოვი

1946 წელს გაიოზ ჯეჯელავამ გახსნა საქვეყნოდ ცნობილი 35-ე სკოლა-ინტერნატი, რომლის პირველი გამოშვება იყო: ბიძინა ტაბიძე, თენგიზ კეკელიძე, დათიკო ციციშვილი, შემდგომში ნოდარ დუმბაძის პერსონაჟები რომანში „მარადისობის კანონი.“ „ციცქა“და „ბერგენა (ჩვენი ქვეყნის ცნობილი არქიტექტორი, რომელიც ახლაც მოღვაწეობს) და „ლომპასა“(ბიძინა ტაბიძე).

სწორედ ამ სკოლის ბაზაზე დაკომპლექტდა ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც 1948 წელს გახდა საბჭოთა კავშირის პირველობის ფინალისტი, ხოლო 1949 წელს – ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

1948 წელს ბიძინა ტაბიძე, როგორც პერსპექტიული ფეხბურთელი თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს, თუმცა მომდევნო წლებში მას თბილისის „ტოდოში“მოუწია თამაში, რომელიც დაკომპლექტებული იყო სამხედრო ბაზაზე და მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის გათამაშებაში. იყო საბჭოთა კავშირის სპარტაკიადების სამგზის ჩემპიონი. მიღებული აქვს უამრავი სიგელი და მოწმობა, რომელიც ნათელი დადასტურებაა მისი პროფესიონალიზმის და ნიჭიერების.

1956 წელს, იმდროინდელი ოზურგეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის კოტე გოგატაძის მონდომებით და მაშინდელი რაიკომის პირველი მდივნის შოთა ჭანუყვაძის თანადგომით ბიძინა ტაბიძე ოზურგეთში ჩამოიყვანეს. სწორედ ამ დროიდან იწყება ოზურგეთის პირველი გუნდის აღორძინება.

ბიძინა ტაბიძის ინიციატივით იმჟამინდელ ოზურგეთის „კოლმეურნეში“მოიწვიეს ცნობილი ფეხბურთელები: გაგნიძე და გოგლიძე (თბილისის „დინამოდან,“); „სპარტაკელები:“გივი სვიმონიშვილი, ნოდარ ბახტაძე („კომბალა“), გივი დობორჯგინიძე, რომლებმაც ადგილობრივ ფეხბურთელებთან ერთად ჩამოაყალიბეს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ქვეყნის მასშტაბით.

1958 წელს „კოლმეურნემ“ საქართველოს პირველობაზე III ადგილი დაიკავა. ფინალურ ჯგუფში სადაც I–IX ადგილისათვის მიმდინარეობდა ბრძოლა, 12 ქულით საქართველოს ჩემპიონის წოდება თბილისის ტტს-მ შეინარჩუნა. 12 ქულა, ოღონდ ბურთების უარესი შეფარდებით დაა-გროვა ქუთაისის „დინამომ“. 11 ქულით III ადგილზე გამოვიდა „კოლმეურნე,“მე-4 ბათუმის „დინამო“იყო.

გარდა ბათუმის „დინამოსა“ ოზურგეთლებმა უკან ჩამოიტოვეს რუსთავის „მეტალურგი,“ ქუთაისის „ტორპედო,“სოხუმის „დინამო,“ჭიათურის „მაღაროელი,“ ლანჩხუთის „კოლმეურნე“ და ა.შ. ოზურგეთლებს საყვედურობდნენ, რომ მათ შეეძლოთ საქართველოს ჩემპიონის წოდების მოპოვება, რომ მეტი მონდომება ყოფილიყო...

1959 წელი. ოზურგეთლები წარმატებით გამოდიან საქართველოს პირველობაზე და ლიდერთს ჯგუფში არიან. საქართველოს თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ, სადაც თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს გუნდს უნდა შეხვდნენ.

6 სექტემბერს თბილისში „დინამოს“სტადიონზე არაერთი ოზურგეთელი იმყოფებოდა.

„კოლმეურნე“ შემდეგი შემადგენლობით გამოვიდა მოედანზე: მეკარე პავლე ჟორდანია; მცველები: ჰამლეტ დოლიძე, რეზო სალუქვაძე, რეზო ღლონტი: ნახევარმცველები: გალორდი ზურაბაშვილი, ანზორ სიამაშვილი; თავდამსხმელები: ანზორ ვახრამოვი, რეზო ხომერიკი, ბიძინა ტაბიძე, ავთანდილ ნინუა, სოსო დუმბაძე.

პირველ წარმატებას ოზურგეთლებმა მიაღწიეს. მე-11 წუთზე რეზო ხომერიკმა გახსნა ანგარიში, თუმცა მეორე ტაიმში თბილისელებმა ანგარიში გაათანაბრეს. გადამწყვეტი გოლი არც დარჩენილ და არც დამატებით დროში გავიდა და მაშინდელი წესების მიხედვით განმეორებითი მატჩი მეორე დღისთვის დაინიშნა.

მწვრთნელმა აკაკი ხურციძემ ოდნავ შეცვალა შემადგენლობა. ცენტრალურ თავდამსხმელად მოედანზე გამოვიდა თამაზ ჩხარტიშვილი, ხოლო მარჯვენა შუამარბის ადგილზე გადაინაცვლა ბიძინა ტაბიძემ.

ეს ცვლილება საბოლოოდ კარგი აღმოჩნდა. მოთამაშეებმა მონახეს თავიანთი ადგილები, გაუგეს ერთმანეთს და ხანგრძლივი იერიშები მიიტანეს მასპინძელთა კარზე.

მიუხედავად ამისა, პირველი გოლი მასპინძლებმა გაიტანეს. ამას რეზო სალუქვაძის 38-40 მეტრი მანძილიდან გატანილი გოლი მოჰყვა. ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად ოზურგეთელთა მხარეს გადავიდა. მატჩის დამთავრებამდე ორნახევარი წუთით ადრე თამაზ ჩხარტიშვილის დარტყმა ძელს მოხდა, უკან დაბრუნდა, იქვე გაჩნდა ავთანდილ ნინუა და მეორე გოლი გაიტანა მასპინძლების კარში.

ორდღიან ბრძოლაში ოზურგეთლები საქართველოს თასს დაეუფლნენ.

გამარჯვებული გუნდი უფრო მაღალ ტურნირში, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში ჩაება. აქ ნახევარფინალამდე მიაღწიეს და მოსკოვის „სპარტაკთან“ 1:2 დამარცხდნენ. გაზეთი „ლენინი“ ამ შეხვედრაში მსაჯების არაობიექტურობაზე წერდა.

მომდევნო წელს ოზურგეთის გუნდი „სიხარულის“ სახელით გამოდიოდა. კვ-ლავ გავიდა საქართ-ველოს თასის გათამაშების ფინალში. ამჯერად მათი მეტოქე მეზობლები ლანჩხუთის „გურია“ იყო.

„თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო. თავიდანვე უპირატესობა ხელთ იგდო მახარაძლებმა და ხანგრძლივი იერიში განავითარეს „გურიის“ კარზე. „სიხარულის“ ყველა რგოლი კარგად, მთელი მონდომებით თამაშობს, შეთანხმებულად და აქტიურად მოქმედებს. დამცველებმა ჰ. დოლიძემ, თ. ჩხარტიშვილმა, რ. ღლონტმა საიმედოდ ჩაკეტეს თავდამსმელები–ნ. ნარია-შვილი, სპორტის ოსტატი ლ. დოლიძე, მანაღარიშვილი. თავდამსხმელებს კარგად ეხმარებოდნენ ნახევარმცველები რ. სალუქვაძე და გ. ზურაბაშვილი. „სიხარულის“ თავდამსხმელთა შეტევებს სათავეში ჩაუდგა ბ. ტაბიძე, რომელიც ოდნავ უკან დაწეული ამარაგებდა ბურთით ა. ნინუას, ა. ვახრამოვს, ს. დუმბაძეს..“

...„როგორც იტყვიან, „მომწიფდა გოლი“ და აი, 30-ე წუთზე ს. დუმბაძემ კვლავ გაიჭრა თავის ფრთაზე, ჩამოაწოდა ბურთი და ბ. ტაბიძემ ლამაზი თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. ოთხი წუთის შემდეგ მახარაძელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და გარღვევაზე გასულმა ა. ნინუამ ბ. ტაბიძის გადაცემიდან მეორე ბურთი გაგზავნა ლანჩხუთელთა კარში. მალე მოწინააღმდეგის კარისაკენ გაჭრილმა ანზორ ვახრამოვმა ანგარიში სამამდე გაზარდა...“

„... მეორე ტაიმის პირველ წუთებში მახარაძლებმა (ა. ნინუა) მეოთხე გოლი გაიტანეს “(გაზ. „ლენინის დროშა,“7 სექტემბერი, 1960 წ. №108).

ეს ეპიზოდები იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გავიხსენოთ როგორ წუთებს ჩუქნიდნენ ბიძინა ტაბიძე და მისი მეგობრები ოზურგეთლებს.

ოზურგეთელებისადმი უსაზღვრო სიყვარულმა გადააწყვეტინა ბიძინა ტაბიძეს ოზურგეთში დარჩენა. აქ შექმნა ლამაზი ოჯახი.

1962-1963 წლებში ბიძინა ტაბიძე ოზურგეთის „მერცხალის“მთავარი მწვრთნელი იყო, ხოლო 1967 წელს „მერცხალი“ საქართველოს ჩემპიონი გახდა და საკავშირო გათამაშების „ბ“კლასში გადავიდა. გუნდის მთავარ მწვრთნელად გიგა ნორაკიძე მოიწვიეს. გუნდის უფროსად ბიძინა ტაბიძე დაინიშნა. იგი ამ თანამდებობაზე სამი წელი მუშაობდა.

ფეხბურთს იგი გასული საუკუნის 90-იან წლებშიც მოუბრუნდა და „მარცხალის“ მთავარი მწვრთნელი იყო, რაც მთავარია ბიძინა ტაბიძე მთელი ცხოვრების მანძილზე იყო სპორტსმენთა ერთგული ქომაგი და დამრიგებელი.

ბიძინა ტაბიძე აღარ დადის ოზურგეთის ქუჩებში. გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე დგას მისი სახლი, სადაც მისი ოჯახის წევრები იკრიბებიან. ქალაქი დიდ პატივს სცემს ბიძინას ქალიშვილს, ქართული ენის პედაგოგს მარინა ტაბიძეს, რომელიც ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის პედაგოგია

სოფლის სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადაზე ოდესა 1955 წ.

ბიჭია, ბიჭი!

საქართველოს თეატრალური საზოგადოების უნიკალურ გამოცემებს გამორჩეული სიყვარულის ნაყოფი - „ვასო ჩიგოგიძე“ შემემატა

თემურ მარშანიშვილი



ისტორიულად ყველა დროში ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალურმა ხერხემალმა, ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ საქართველოს, განსაკუთრებით კი გურიას, შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა: ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილისა და ფონდ „ქართული გალობის“ ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით, შემოქმედებითმა ჯგუფმა, რედაქტორ კოტე ნინიკაშვილის, შემდგენელ მარინა ვასაძისა და დიზაინერ გიორგი მალხასიანის შემადგენლობით, „ვასო ჩიგოგიძეში“ ექვსი ათეული წლის განმავლობაში ამ სახელისა და გვარის ღირსეულად მატარებელი კაცის, თანამედროვე თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის სიტყვიერად და ვიზუალურად სრულქმნილი პორტრეტი ჩადო.

მედიასაშუალებებში ორმოცდაორწლიანი საქმიანობის შემდეგ, რამდენიმე თვის წინათ გადავწყვიტე, საგაზეთო წერილები აღარ მომეზადებინა, მაგრამ ამ წიგნმა წერის საღერღელი ამიშალა და სიტყვა გამატეხინა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჯერ კიდევ სტამბის საღებავშეუშრობელი „ვასო ჩიგოგიძით“ ჩემი მეგობრის ვასო ჩიგოგიძის სიხარული მოკრძალებულად მეც გამომეხატა; მერე მეორეც, საზოგადებისათვის მეთქვა, რომ ამ წიგნის გამოცემით საქმე გვაქვს უნიკალურ მოვლენასთან გათანაბრებულ სასიამოვნო ფაქტთან.

წიგნის რედაქტორი ბატონი კოტე ნინიკაშვილი კი ბრძანებს „ვცდილობდი, რაიმე განსაკუთრებული, ნიშანდებული მეთქვა მის (ვასოს) შესახებ - არ გამომდის, ყველა მასწრებსო“, მაგრამ, აბა, ერთი მე მკითხოს?! თუმცა, კარგი ჰქნა, რომ დამასწრო, თორემ ერთი უბრალო საგაზეთო ნარკვევით, რაც უნდა კარგი გამომსვლოდა, ნამდვილად ვერ შევქმნიდი ისეთ მრავალშტრიხიან პორტრეტს, როგორიც ბატონმა კოტემ და ამ წიგნის სხვა შემქნელებმა გამოძერწეს დიდი რუდუნებით.

ვასო ჩიგოგიძის, როგორც მთავარი რეჟისორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის შემოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის და ოზურგეთის აღ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრებში, ასევე თბილისში განხორციელებული გაუხუნარი სპექტაკლებით, მან ასევე წარმატებით იღვაწა პანევეჟისის ი. მილტინისის სახელობის დრამატულ თეატრში; სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებზე ესპანეთში, საფრანგეთში, კანარის კუნძულებზე, ეგვიპტეში, ლიტვაში...

თეატრალური ხელოვნების სამივე თაობის სპეციალისტთა აზრით, ვასოს ქრონოლოგიურად ვრცელ და შინაარსობრივად მრავალფეროვან შემოქმედებაში, როგორც ასეთი, სუსტი რგოლი არ არსებობს. და მაინც, ჩემი აზრით, მისი შემოქმედების გვირგვინია ნ. დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი შედეგი სპექტაკლები. საქართველოში არ მეგულება მეორე ისეთი რეჟისორი, რომელსაც სცენაზე ასე სისხლხორცეულად და სრულქმნილად წარმოეჩინა ბატონი ნოდარის შემოქმედება. ასე მგონია, ნ. დუმბაძე რომ ცოცხალი იყოს, თავისი ნაწარმოებების გასცენიურებას მხოლოდ ვასოს მიანდობდა. ყოველივე ეს არც არის გასაკვირი, რადგან ვასო მოდგმით ის ჩიგოგიძეა, რომელიც მწერლის გმირებთანაა, მათი ცხოვრებით ცხოვრობს.

და ბოლოს, ვასო ჩიგოგიძეს, როგორც შემოქმედსა და ხელოვანს, სიყვარული და აღიარება არასოდეს აკლდა. ამის დასტურად, ალბათ, ოზურგეთის თეატრში მისი სახელობის ვარსკვლავის კიაფიც გამოდგება, მაგრამ წიგნი მაინც სულ სხვაა, თანაც ისეთი, ნანატრი ბიჭის გაჩენასთან რომ ასოცირდება! ასეთი თბილი წიგნი ხომ მარადიულობის ხარისხში აყვანილი მაღალი ხელოვნებისა და ხელიხელსაგოგმანებელ ხელოვანთა საბუდარია, საიდანაც ფრთის გაშლის უფლება მხოლოდ ღირსეულთა, ანუ ვასოსნაირთა ხვედრია



„მერცხალის“ მორიგი მარცხი

მე VIII ტურში ოზურგეთის „მერცხალი“ „გაგრას“ შეხვდა. სამწუხაროდ ოზურგეთლებმა დიდი ანგარიშით 1:6 დათმეს ეს მატჩი.

„მერცხალი“ მორიგ შეხვედრას 16 ოქტმობერს გამართავს. იგი ქედის „ბეთლემს“ უმასპინძლებს.

	თ	მ	ფ	წ	ქ
ბეთლემი (ქედა)	8	5	3	0	18
საპოვნელა (თერჯოლა)	8	4	3	1	15
ბორჯომი (ბორჯომი)	8	4	2	2	14
გაგრა (გაგრა)	8	4	1	3	13
დინამო-2 (თბილისი)	8	3	4	1	13
მეშახტე (ტყიბული)	8	3	1	4	10
კოლხეთი (ხობი)	8	2	2	4	8
მერცხალი (ოზურგეთი)	8	2	2	4	8
სქური (წალენჯიხა)	8	0	6	2	6
ალგეთი (მარნეული)	8	0	2	6	2

ნუნუ მემარნიშვილი

უკვე რამდენიმე წელია ჩვენს გვერდით არ არის ნიჭიერი ხელოვანი ნუნუ მემარნიშვილი.

ხვალ იგი 56 წლის იქნებოდა. ვაგლახ, ნაადრევად დატოვა წუთისოფელი.

სიმღერა პატარაობიდანვე, ოჯახში დაიწყო. დაამთავრა ბათუმის მუსიკალური ტექნიკუმი და სოფ. მელექედურის საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა მუსიკის მასწავლებლად. სკოლაში მომღერალთა ანსამბლი შექმნა და პირველ წარმატებას მიაღწია.

1979 წელს ნარუჯის კულტურის სახლში დანიშნეს მუსიკის მასწავლებლად. წარმატებული ხელოვანი მალე ნარუჯის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად გადაიყვანეს.

იგი მომდევნო წლებში მუშაობდა ნარუჯის რვაწლიან სკოლაში, ასკანის, დვაბზუს საშუალო სკოლებში მუსიკის მასწავლებლად, გუნდის ხელმძღვანელად.

ნუნუ მემარნიშვილს წარმატება და აღიარება ანსამბლმა „ნაკადულმა“ მოუტანა. ორი თუ სამი თაობა აღზარდა და დიდ ხელოვნებას აზიარა.

1988 წელს ჟურნალისტი ეთერ ქადეიშვილი რაიონული გაზეთის სტატიაში „როცა სიმღერაა უპირველესი“ წერდა: „თითქმის ყველა რაიონულ ღონისძიებას ალამაზებს „წყარო.“ სცენას ისე შეეჩვივნენ გოგონები, რომ ხმა აღარც უკრთით, არც მღელვარება ეტყობათ. ბევრი დღე ლამაზად ახსოვთ...განსაკუთრებით მღელვარებით იხსენებენ იმ დღეებს, როცა შეხვდნენ, კონცერტი გაუმართეს ურეკში დასასვენებლად ჩამოსულ ჩერნობილელ თანატოლებს.

ახლახან ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ქუთაისში გამართულ რესპუბლიკურ ოლიმპიადაში. გაიმარჯვეს და ახალი რწმენით –თბილისშიც არ დავთმობთ პირველობასო – აგრძელებენ მეცადინეობას.

ანსამბლი ძირითადად ფოლკლორული ხასიათისაა, მაგრამ არც კლასიკას ივიწყებენ. უცხოურ სიმღერებსაც გადაწყვდნენ, გერმანული სიმღერაც ისწავლეს.

ახლა სიმღერას „წყარო მღერის“ სწავლობენ. ნუნუ მასწავლებელი სიმღერებს, სოლისტებს ნორჩების ხასიათის მიდრეკილების მიხედვით არჩევს. ამიტომაც ლაღად, თავისუფლად მღერიან.

თავად ნუნუ ხალისით და სილაღითაა სავსე. სიმღერის და ბავშვების სიყვარული შთაგონებით ავსებს და ამიტომაც წარმატებამ არ დაიგვიანა – არის საკავშირო და რესპუბლიკური ოლიმპიადების ლაურეატი, მიღებული აქვს მრავალი საპატიო ჯილდო.“ (5 იანვარი, 1988 წ.).

დღესაც აღიარებული მომღერალია ანსაბლ „წყაროს“ აღზრდილი ეკა ჭელიძე. შემდგომში ოზურგეთის რაიონის კულტურის განყოფილებას ხელმძღვანელობდა შორენა გოგოლიშვილი. ქ. ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა ნინო გოგუაძე; მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურში ერთ-ერთ განყოფილებას ხელმძღვანელობს ეკა სირაძე...

შემდეგ ნუნუ ექდიის კულტურის სახლის დირექტორი იყო, 1990 წელს ხალხური სიმღერების შემსწავლელი სკოლის დრექტორად გადაიყვანეს.

90-იანი წლების დასაწყისში იგი ქ. ბათუმში გადავიდა სამუშაოდ. ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში დანიშნეს ფოლკლორის წრის ხელმძღვანელად, სადაც 10 წელზე მეტი დაჰყო. ხელმძღვანელობდა „ბასტი ბუბუს“ ბათუმის ფილიალს. შემდეგ მამუკა ონაშვილის მიერ შექმნილ ბათუმის ბავშვთა ვოკალურ სტუდიას. ბოლო მისი სამუშაო ადგილი ბათუმის №9 საშუალო სკოლა იყო, სადაც იგი სკოლის მოსწავლეთა გუნდს ხელმძღვანელობდა.

გარდაიცვალა 2010 წლის 30 ოქტომბერს.

დღეს მისი აღზრდილები, კოლეგები იხსენებენ ნიჭიერ ხელოვანს და პატივს მიაგებენ მის ხსოვნას.

მეგობრები.

ზური მამუკაშვილის გახსენება



ცხრა ტკივილიანი წელი გავიდა უშენოდ. ძალიან ძნელია იმის შეგუება, რომ ვერასდროს გიხილავთ შენს ლამაზ ოჯახში, შვილებთან, შვილიშვილებთან, ახლობლებლებთან, მეგობრებთან ერთად.

ძალიან გიყვარდა მამისეული სოფელი შრომა, იქაურები, მაგრამ ალბათ, ყველაზე დასამახსოვრებელი შენს ცხოვრებაში შენი წინაპრების ფუძეზე სტუმრობა იყო. მეუღლესათან ერთად პირველად რომ დადგი ფეხი მესხეთის უძველესი სოფლის ხიზაბავრას მიწაზე. მოსაგონარი ბევრია, მაგრამ შენმა წასვლამ იგი გააფერმკრთალა.

თვალცრემლიანი ვთხოვთ უფალს, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შენზე მონატრებული **ოჯახი**

შ.პ.ს ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული’-ს თანამშრომლები თანაუგრძნობენ თანამშრომელ ლია კეჭაყმაძეს, სიძის **ბიძინა მუჯირის** გარდაცვალების გამო.

იყიდება

ქ. ოზურგეთში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, 800 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთით.

მისამართი: იაკობ შემოქმედელის ქ.№44.

ტელ: 551 41 07 64; 599 107 887.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე